საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-415

ქ. თბილისი

08/04/2021

შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2021 წლის 17 მარტს სამინისტროს მომართა შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ნიკა-2004“-ის ფეროშენადნობთა ქარხნის გაფართოება-რეკონსტრუქციაზე გაცემულია №45 (22.07.2010) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად და შპს „ნიკა-2004“-ის მომართვის საფუძველზე, 2018 წლის 16 აგვისტოს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-689 ბრძანება „შპს „ნიკა-2004“-ის ფეროშენადნობების წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „ნიკა-2004“-მა შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ სახელით (ს/ნ: 216302150), რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

ზემოაღნიშნული გარემოებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების წარმოებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №45; 22.07.2010);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული №45 (22.07.2010) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ნიკა-2004“-ის ფეროშენადნობების წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 აგვისტოს №2-689 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი